საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(203) 2019 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 1 ლარი

შეხვედრები მოსახლეობასთან
სამომავლო საკითებელი

ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი შიოშვილი საჭიროებების გამოვლენის მიზნით სოფლების ხაშმის, უჯარმის, გომბორისა და კოჭბანის მოსახლეობას ესტუმრნენ.

შეხვედრისას გამოიკვეთა პრიორიტეტული საკითხები, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. სოფელ ხაშმში განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ადგილობრივმა მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს მადლობა გადაუხადა.

კახური ჭაჭის ფესტივალი

2 ნოემბერს, ქალაქ თელავში, ერეკლე მეფის მოედანზე ტრადიციული-კახური ჭაჭის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტი იღებდა მონაწილეობას. ღონისძიებას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული-ირაკლი ქადაგიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, მერები, მოწვეული სტუმრები და უცხოელი ტურისტები ესწრებოდნენ. ფესტივალის მიზანი კახეთის რეგიონის სტუმარმასპინძლობის, ტრადიციების, კერძების, სასმელების კიდევ ერთხელ გამოფენა და გაცნობა გახლდათ. ფესტივალის ბოლოს წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით, საუკეთესო გლეხური ჭაჭის ტექნოლოგიაში სამი გამარჯვებული გამოვლინდა, რომელთაც დიპლომები და მედლები გადაეცათ. გამარჯვებულთა შორის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანში მცხოვრები რობიზონ სადუნაშვილი გახდა ვერცხლის მედლის მფლობელი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარსდგა დამთვარიელებელთა და სტუმართა წინაშე, რისთვისაც, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სახელით განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელმა ბესიკ ღვინაშვილმა, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობებმა და ანსამბლმა „ბერიკაცებმა“.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

7 ნოემბერი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირზე, რომელსაც ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები*** **ლეძსო გილაშვილი და შოთა კაკაბაძე** უძღვებოდნენ, დეტალურად გამოიკითხეს მუნიციპალიტეტის თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხი. როგორც გაირკვა, ცალკეულ სოფლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას და მიმდინარეობას აჭიანურებენ სამშენებლო ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანზე უკვე გავრცელდა საჯარიმო სანქცია. ლექსო გილაშვილის თქმით კიდევ ერთხელ გადაამოწმებენ ასეთ შემთხვევებს, განიხილავენ ვადებს და მიიღებენ საჭირო ზომებს.

სოფელ უდაბნოს წარმომადგენლის გიორგი ჟორჟოლიანის თქმით, სულ რამდენიმე დღეში დაიწყება სოფელში არსებული მისასვლელი გზის მონაკვეთის მოასფალტება. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, სოფელში რამდენიმე ოჯახს „ენერგო-პრო ჯორჯიის“ თანამშრომლებმა ელექტროენერგიის მრიცხველები შეუცვალეს და ჯარიმები 200-250 ლარით დაუდგინათ, იმ მიზეზით, რომ მრიცხველები ვითომ დაზიანებული იყო, რამაც სოფელში უკმაყოფილება გამოიწვია.

სოფელ თოხლიაურში მიწის ყოფილ მოიჯარეებს უჭირთ მიწის დარეგისტრირება, ამასთან, დემონტაჟს მოითხოვს სოფლის ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა, რომელშიც ადრე საბავშვო ბაღი იმყოფებოდა.

ბადიაურის წარმომადგენლის კახაბერ ჩალათაშვილის ინფორმაციით, სოფელში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს, რომელსაც ეკონომიური სიდუხჭირის გამო შვილებზე მზრუნველობა ჩამოართვეს, სოციალური დახმარება შეუწყვიტეს. მერის მოადგილის შოთა კაკაბაძის თქმით, ზოგიერთი სოფლის წარმომადგენელმა წარმოდგენილ სიაში გამოტოვა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი, ადამიანი, რის გამოც ის ვერარ მიიღებს სოციალურ დახმარებას.

იორმუღანლოს თემის წარმომადგენელის ნათიკ რასულოვის თქმით, სოფელ ქეშალოს რამდენიმე დღეა არ აქვს სასმელი წყალი, დაზიანებულია სასმელი წყლის ცენტრალური მილი, რომლის შეკეთებას სოფლის მოსახლეობა თავისი შესაძლებლობებით უმოკლეს ვადებში აპირებს. ამასთან, დაზიანებულია ცენტრალურ გზაზე არსებული ონკანები, რომლის სიგრძე 2 კილომეტრია და ამ ონკანებით 360 ოჯახი სარგებლობს.

სოფლის წარმომადგენლების მიერ წამოჭრილი პრობლემები ჩაინიშნეს მერის მოადგილეებმა და კონკრეტული დავალებები მიეცათ მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს ბექა ფეიქრიშვილს, შპს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილსა და აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ხარისხის ცენტრის“ დირექტორს ოთარ ბუზარიაშვილს.

თათბირის დასასრულს ლექსო გილაშვილმა 2 ნოემბერს თელავში გამართულ ჭაჭის ფესტივალზე გამარჯვებულ შიბლიანის წარმომადგენელს რობიზონ სადუნაშვილს ვერცხლის მედალი და დიპლომი გადასცა.

11 ნოემბერი, 2019 წელი

მიწის რეგისტრაციის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც მოსახლეობა მიწას ბარიერების გარეშე დაირეგისტრირებს, საქართველოს პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილების შემდეგ, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი ქადაგიშვილის ინიციატივით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობდნენ - კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე - პლატონ კალმახელიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ბენო გეგეჭკორი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის მოადგილეები - ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე და საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი - პარლამენტის წევრი რომან მუჩიაშვილი.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამიზნე აუდიტორიისთვის, მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. საინფორმაციო შეხვედრას ასევე, ესწრებოდნენ - სოფლებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის დროს, უფრო მარტივად და ეფექტურად შეძლებენ აღნიშნული კანონპროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა და 1 აგვისტოდან სრულად ამოქმედდება კანონპროექტი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. კანონპროექტების ავტორია იუსტიციის სამინისტრო. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. კანონპროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება.

ახალი ინიციატივები უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

სოფლის მეურნეობა

მოსახლეობის ხელშესაწყობად

მიწის რეგისტრაციის პროცესი მარტივდება

მიწის რეგისტრაციის პროცესი კიდევ უფრო გამარტივდება. მთავრობამ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონპროექტი დაამტკიცა, რომელიც განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესი, რომელიც 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს, გახდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ზოგადი წესი და იმოქმედებს უვადოდ.

“2016 წლიდან დაწყებული მიწის რეგისტრაციის რეფორმის გახანგრძლივება მოქალაქეთა მხრიდან რეფორმის მიმართ მაღალი ინტერესითაა განპირობებული. რეფორმის ამოქმედების შემდეგ მოქალაქეთა მიმართვიანობა, საშუალოდ, ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ტემპი - სამზე მეტჯერ. მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრსა და მოქალაქეს შორის საფუძვლიან დავათა მცირე ოდენობა ადასტურებს, რომ 2016 წელს დაწყებული მიწის რეგისტრაციის რეფორმა წარმატებულია. 2016 წლიდან დღემდე წარმატებით დარეგისტრირდა 738 483 განაცხადი, რაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2016 წლამდე დარეგისტრირებულ ფართობზე სამჯერ მეტია. სწორედ ამიტომ აქამდე მოქმედი მიწის რეგისტრაციის გამარტივებული წესი გახდება ზოგადი წესი და იმოქმედებს უვადოდ”, - აცხადებენ სამინისტროში.

უწყების ცნობით, მიწის რეგისტრაცია ისევ ორი სახით იწარმოებს - სპორადული და სისტემური წესით.

“როგორც სპორადული, ისე სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში: ფართოვდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტებით, რომლებითაც მიწის რეგისტრაცია დღეს შესაძლებელი არ არის, მოქალაქეები მიწის დარეგისტრირებას შეძლებენ. მაგალითად, მიღება-ჩაბარების აქტი ან მებაღის წიგნაკი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილად ჩაითვლება,თუ მასში არ არის მითითებული დოკუმენტის გაცემის წელი; კიდევ უფრო მარტივდება ფორმის დაუცველად დადებული გარიგებების საფუძველზე უფლებათა რეგისტრაციის წესი. შესაბამისად, ამგვარი გარიგების საფუძველზე მიწის რეგისტრაციას მეტი მოქალაქე შეძლებს. კერძოდ,რეგისტრაცია შესაძლებელი ხდება დოკუმენტის ასლის საფუძველზე, თუკი ასლი დაცულია ეროვნულ არქივში, საჯარო რეესტრში ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს არქივში; მარტივდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე. იმ შემთხვევაში, თუ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არ იძებნება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობით;

შესაძლებელი ხდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმ კომლების (ოჯახების) მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც აღრიცხულნი არიან საკომლო წიგნებში, მაგრამ საკომლო წიგნში მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შევსებული არ არის. დღეს ამგვარი მიწის რეგისტრაცია არ არის შესაძლებელი. ასეთი შემთხვევებისთვის კანონპროექტით დგინდება ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მაქსიმალური ზღვრული ნორმა 0,75 ჰა, რაც, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკომლო წიგნების ანალიზის საფუძველზე, საოჯახო მეურნეობებისთვის გამოყოფილი მიწის ოდენობების საშუალო მაჩვენებელია.

გარდა ამისა, სისტემური რეგისტრაციის შემთხვევაში: რეგიონს, სადაც სისტემური რეგისტრაცია განხორციელდება, განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი საჭიროებისა და სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე; აზომვითი სამუშაოების ზუსტად ჩატარების მიზნით, იმისათვის, რომ თითოეული მესაკუთრის უფლება სრულად იქნეს დაცული, პროექტის ფარგლებში საკადასტრო სამუშაოების ჩატარება შეეძლებათ მხოლოდ აკრედიტებული სუბიექტის მიერ სერტიფიცირებულ პირებს; მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, ნაცვლად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისა, დადგინდება სააგენტოს მიერ; თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლებას სააგენტო აღიარებს; სააგენტო საკუთრების უფლებას აღიარებს თვითნებურად დაკავებულ ისეთ სათიბ, სახნავ ან საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზეც, რომლებზეც განთავსებული არ არის შენობა-ნაგებობა ან ისინი არ წარმოადგენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს.

სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში: თუკი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის უფლება ვერ დადასტურდება, საჯარო რეესტრი განსაზღვრავს, რამდენად ექვემდებარება საკუთრების უფლება აღიარებას და მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში გადაუგზავნის საქმეს მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რაც განტვირთავს კომისიებს საქმეებისაგან და დააჩქარებს განხილვის პროცესს; იცვლება აღიარების კომისიების მიერ სააგენტოდან გადაგზავნილი საქმეების განხილვის ვადა და ის განისაზღვრება 3 თვით. პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გასაჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცვლილება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ აღიარების კომისიაში საქმეების განხილვის ხანგრძლივობა და გაჭიანურება დღეს მოქმედი რეგულაციის ერთ-ერთი გამოწვევაა; ფართოვდება მიწის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ცნება. მათ შორის, თუკი დღეს ასეთ დოკუმენტად მიიჩნევა ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა, ახალი რეგულაციით ეს წესი გავრცელდება 2004 წლის 4 ოქტომბრამდე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე, რაც მიწის დაკანონებას გაუადვილებს მოქალაქეებს, რომლებიც მიწის ნაკვეთებს 1995 წლიდან ფლობენ.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, არც სპორადული და არც სისტემური რეგისტრაციის შემთხვევაში, 2021 წლის პირველ იანვრამდე მიწის დაკანონება არ მოახდენს გავლენას იმ ოჯახების სარეიტინგო ქულებზე, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას და სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით. შესაბამისად, ასეთ ოჯახებს შეუნარჩუნდებათ სოციალური დახმარება და ყველა შეღავათი, რითაც მიწის რეგისტრაციამდე სარგებლობდნენ.

“კანონის ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრამდე დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია უსასყიდლოდ, საზღაურის გარეშე შესრულდება, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და მასში ცვლილება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე დარეგისტრირდება. ამასთან, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრამდე სამკვიდრო მოწმობის გაცემა უფასო იქნება”, - ნათქვამია უწყების განცხადებაში.

* * *

***დაგეგმილი** რეფორმის ფარგლებში მიწის დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესი 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა, ახალი ინიციატივის თანახმად ზოგადი წესი იმოქმედებს უვადოდ.*

ამ პროცედურას საჯარო რეესტრი განახორციელებს კვლავ ერთი ფანჯრის პრინციპით და 2022 წლის პირველ იანვრამდე იქნება უფასო.

2021 წლის პირველ იანვრამდე მიწის დაკანონება არ მოახდენს გავლენას იმ ოჯახების სარეიტინგო ქულებზე, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას.

მელიორაცია

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტოს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს წყალგამანაწილებელი არხის აღდგენითი სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში დანალექი გრუნტისაგან და ბუჩქნარისაგან გაიწმინდა არხის 12 კილომეტრიანი მონაკვეთი; მოეწყო მონოლითური ბეტონის ბორდიური. ამ დროისთვის მიმდინარეობს არხის ფერდებისა და ძირის მონოლითური ბეტონით შევსება და ტორკრეტირება.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შედეგად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 330 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება.

სამუშოები მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და 2021 წლის დასაწყისში დასრულდება.



მართლმადიდებლობა

საგარეჯოს ქუჩების კურთხევა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, წმინდა ნინოს მონასტრიდან, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე ლუკას (ლომიძე) ლოცვა-კურთხევით, საგარეჯოს ტაძრების წინამძღვრებმა, მგალობელ გუნდთან და მრევლთან ერთად საზეიმო მსვლელობა მოაწყეს და ქალაქის ქუჩები და ნინოწმინდის უბნები აკურთხეს. მსვლელობაში ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები და წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ამ დღეს, 30 ოქტომბერს საეკლესიო კალენდრის მიხედვით წმინდა მოციქული და მახარებელი ლუკას ხსენების დღეა.

წმინდა მოციქული და მახარებელი ლუკა – პავლე მოციქული მას "საყვარელ მკურნალს" უწოდებს

წმინდა ლუკა მახარებელი დაიბადა სირიის ქალაქ ანტიოქიაში. მისი მშობლები არ ყოფილან ებრაელები: ამას მოწმობს, პირველ ყოვლისა, ის ადგილი პავლე მოციქულის ეპისტოლედან კოლასელთა მიმართ, სადაც იგი აშკარად გამოჰყოფს ლუკას სხვა მოწაფეთა შორის, "რომელნი-იგი იყვნეს წინადაცვეთილებისაგანნი" (კოლას. 4,10-15), ანუ იუდეველნი, ებრაელნი; მეორე მხრივ კი, ეს ჩანს თვით ლუკას სახელიდან, რომელიც წარმოადგენს შემოკლებულ სახელს "ლუკან"-ისგან, რასაც ლუკას სახარების ზოგიერთ უძველეს ლათინურენოვან ხელნაწერში ვხვდებით. მიუხედავად არაებრაელობისა, ლუკა საფუძვლიანად იცნობდა იუდეველთა წეს-ჩვეულებებს და მოსეს სჯულიც იცოდა, რაც კარგად ჩანს მის მიერ დაწერილ სახარებასა და საქმე მოციქულთაში. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლუკამ ჯერ კიდევ ქრისტეს შედგომამდე მიიღო იუდეველთა სარწმუნოება.

თავის მშობლიურ ქალაქ ანტიოქიაში, რომელიც სახელგანთქმული იყო განათლების კერებით, მეცნიერებით და ხელოვნებით, ლუკამ ჯეროვანი აღზრდა-განათლება მიიღო და სხვადასხვა მეცნიერული ცოდნით განიმდიდრა გონება. პავლე მოციქულის ზემოხსენებული ეპისტოლედან ვხედავთ, რომ ლუკას მკურნალის ხელოვნება შეუსწავლია - მოციქულთა თავი მას "საყვარელ მკურნალს" უწოდებს (კოლას. 4, 14), საეკლესიო გადმოცემა კი იმასაც გვიმოწმებს, რომ იგი ხატმწერიც იყო. უეჭველია ისიც, რომ მოციქული ლუკა საერთოდაც დიდად განათლებული და წიგნიერი კაცი იყო; ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მისი ნაწერების ენა (ბერძნული) გაცილებით უფრო დახვეწილი და სწორია, ვიდრე ახალი აღთქმის სხვა დამწერთა...

როცა ამბავი იესო ქრისტეს სასწაულთქმედებებისა და ღვთაებრივი მოძღვრებისა გალილეიდან სირიასაც მისწვდა, ლუკა ანტიოქიიდან პალესტინაში ჩავიდა და უფლის მიმდევრებს შეუერთდა გალილეაში, იქ, სადაც მაცხოვარმა თავისი მხსნელი სწავლების მარცვალთა დათესვა დაიწყო.

ამ მარცვლებმა კეთილი ნიადაგი ჰპოვეს ლუკას გულში და ასმაგი ნაყოფიც გამოიღეს. მალე ლუკა ღირს-იქმნა უფლის 70 მოციქულთა შორის შერაცხულიყო. დაიმოძღვრა უფლისაგან და სასწაულთმოქმედების ძალაც მიიღო მისგან, ლუკაც სხვა მოციქულებთან ერთად იქნა წარვლენილი იმ ქალაქებსა და დაბებში, სადაც მაცხოვარი აპირებდა მისვლას. და ისიც ქადაგებდა იქ ცათა სასუფევლის მოახლოებას და ამით გზას განუმზადებდა უფალ იესო ქრისტეს (ლუკა 10, 1-24). მართალია, თავისი სახარების დასაწყისში ლუკა თითქოს გამორიცხავს თავს იმ მოციქულთაგან, "რომელნი დასაბამითგან თვით-მხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყვისა მის" (ლუკა 1, 2), მაგრამ ამით მას მხოლოდ იმის თქმა სურს, რომ თვითონ არ ყოფილა შერაცხული უფლის 12 მოციქულთა შორის, რომელთაც, რა თქმა უნდა, მეტი იხილეს და მეტი იცოდნენ მაცხოვრის საზოგადო მსახურების შესახებ, ვიდრე 70-მა მოციქულმა.

შემოდგომის ზეიმი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში, ყანდაურის, ვერხვიანის, ბადიაურისა და მზისგულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საშემოდგომო ღონისძიება გამართეს სახელწოდებით- "ერთი დღე ჩემს სოფელში" ,რომლის იდეის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ ბადიაურის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი მზია ხორბალაძე.

ახალგაზრდულ სადამოს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე* ალექსი გილაშვილი** და ***საკრებულოს თავმჯდომარე* ოთარ ჩალათაშვილი** ესწრებოდნენ.

ალექსი გილაშვილმა მოსწავლეებს სიტყვით მიმართა, ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა,წარმატებული საზეიმო გამოსვლა მიულოცა და ახალგაზრდული პროექტებისა და წამოწყებების მიმართ მუდმივი მზაობა და თანადგომა გამოხატა.

ზეიმზე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმატებით წარმოაჩინეს ქართული შემოდგომის ხვავი და ბარაქა, ქართული ტრადიციები.

ტყისა და ველის ხანძრები

ტყისა და ველის ხანძრები თანდათან იქცა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკოლოგიურ პრობლემად. ისინი ძლიერ უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ ისეთ პროცესებზე, როგორიცაა: ნიადაგის ფორმირება, ჰიდროლოგიური ციკლი, ბიომრავალფეროვნების სტაბილურობა, ნარგავების ზრდა-განვითარება და სხვა. საზოგადოების უმრავლესობისათვის ხანძარი წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას, რომელიც ემუქრება ადამიანსა და ველურ ბუნებას, ანადგურებს მიწის ფართობებს,იწვევს ადამიანისა და ქონების დაზიანებას და სხვა დანაკარგებს.

ხანძრის გაკონტროლებისა და ჩაქრობის მცდელობამ შეცვალა მისი ბუნებრივი ციკლი იმ რეგიონებში, სადაც იგი გარემო ლანდშაფტის განვითარებისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენს. შედეგად, ხანძრის წარმოშობის შემთხვევაში იგი უფრო მძლავრია, რაც არცთუ იშვიათად გარემოს შეუქცევად დაზიანებას იწვევს; მეორე მხრივ, ადმიანები არათუ აქრობენ და აკონტროლებენ ხანძარს, არამედ, პირიქით, თვითონ წარმოადგენენ მისი წარმოქმნის მთავარ მიზეზს. ფაქტობრივად, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მიწათსარგებლობის მიზნით ხანძარი სულ უფრო მეტად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, როგორც მათთვის იაფი ინსტრუმენტი... მართლაც, რამდენჯერ დაგვინახავს ალმოდებული ნამინდვრალი და გადამწვარ-გადაშავებული ველები...

კონკრეტულად, საქართველოში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზები ჯერ არ გამხდარა ფართო შესწავლის საგანი. მიუხედავად ამისა, არსებობს ცნობები საფრთხის შესახებ, რადგან საგანგებო სიტუაციების სამსახური აფიქსირებს გაჩენილი ხანძრების შემთხვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოწოდება ხდება, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ხანძრის მოვლენების სივრცითი განაწილების ვიზუალურად შესამოწმებლად იქმნება სიხშირის ერთიანი რუკა. გამოიყოფა მნიშვნელოვანი ცხელი წერტილები,რათა შემდგომში დაანგარიშებულიყოს შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი „ტყისა და ველის ხანძრების საფრთხის რუკის" კატეგორიებთან მიმართებაში. (დაბალი, ზომიერი, მაღალი). ეს კვლევები მსოფლიოში ეფუძნება MOODIS-ის - „დამწვარი ზონების პიქსელი" ჯვარედინ შემოწმებას.

საქართველოში ხანძრების რისკი ყველაზე მაღალია ივლისა და აგვისტოში, რაც დაკავშირებულია ტურისტულ სეზონთან. ექსკურსიების დროს დაუდევრად გადაგდებული ასანთი, სიგარეტის ნამწვავი, ბოლომდე არჩამწვარი კოცონი ხდება მიზეზი არა მხოლოდ ტყის ნაწილის, არამედ მთლიანი მასივების განადგურების...

2018 წელი... პირველი აგვისტო... არასოდეს დამავიწყდება ის განცდა, ის ტკივილი: ბორჯომ-ხარაგაულის, ამ უმშვენიერესი ნაკრძალის ცადაზიდული ნაძვები, ფიჭვები როგორ იწვოდა! და, უბედურება ის იყო, რომ სახელმწიფო შესაბამისი სამსახურები საერთოდ არ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე... რა დრო უნდა გავიდეს, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა ისეთივე ტყე ნახონ ამ ადგილას, როგორიც ახსოვთ ჩვენს: ბებოებს, პაპებს, მშობლებს და ჩვენ!..

კიდევ ერთი დიდი ხანძარი, რომელმაც შეძრა მ ს ო ფ ლ ი ო – ამაზონის ხანძარი! 2019 წლის აგვისტოში ბუნებრივი ხანძარი წესით და რიგით იშვიათია,ივლისიდან ოქტომბრამდე შესაძლებელია გაჩნდეს მხოლოდ მცირე ხანძარი, რომლის ლოკალიზება იოლია. აღნიშნული ხანძრის გამომწვევი მიზეზები დღესაც ვერ დადგინდა ბოლომდე, თუმცა დიდია ეჭვი,რომ ეს იყო გლობალური დათბობის საკითხებთან დაკავშირებით დიდი სახელმწიფოების უთანხმოების შედეგი.

ერთ-ერთი მიზეზი,რაც ცხადად იკვეთება,ეს არის ამაზონის ტერიტორიების ზონის სახელმწიფოთა „არასახელმწიფოებრივი" მიდგომა „დაცული" ტერიტორიების მიმართ. მაგ: აღმოჩნდა,რომ ბრაზილიაში საერთოდ არ არის კანონი მიწათსარგებლობის შესახებ, რაც იწვევს „მესაკუთრეთა" თვითნებობას. ისინი განზრახ აჩენენ ხანძარს, რათა ტყე გადააქციონ საძოვრად,მათთვის ხომ,როგორც მესაქონლეთათვის,უფრო მნიშვნელოვანია საძოვრები.

...და რამდენი დღე იწვოდა „დედამიწის ფილტვები!!!"

...და რამდენი არსებისათვის დაიწვა ამაზონის ჯუნგლები,მათი სახლი:

2 მილიონი სახეობის მწერისთვის!

40 000 სახეობის მცენარისათვის!

2 200 თევზისთვის!

427 ძუძუმწოვრისთვის!

488 ამფიბიისთვის!

375 ქვეწარმავლისთვის!

4 000 აბორიგენისთვის!

არასოდეს დამავიწყდება ერთი კადრი: ნახევრად დამწვარი მაიმუნი იხუტებს,გულში იკრავს,თავის დამწვარ შვილს და ამაზრზენად,თავგანწირვით კივის!

ეს უნდა იყოს კადრი-სლოგანი,რომელიც აფრთხილებს მთელს მსოფლიოს: ნუ გავხდებით მიზეზი არამცთუ ასეთი დიდი უბედურების,არამედ თუნდაც რამდენიმე ხის სიკვდილის მიზეზი. გლობალურ დათბობაში თითოეულის წვლილი მემილიონედი პროცენტიც რომ იყოს,ჯამში ეს დ ე დ ა მ ი წ ა ს კატასტროფამდე მიიყვანს... მოდით, ჩვენს მომდევნო თაობებსაც დაუტოვოთ პერსპექტივა დატკბნენ ტყის შრიალით,ჩიტების ჭიკჭიკით,ციყვის ხედან ხეზე ხტუნვით,ცვრიან ბალახზე „ფეხშიშველა" სიარულით... „ტყე შეუნახეთ შვილებსაო" გვაფრთხილებდნენ დიდი წინაპრები!!!

თათია ჩალათაშვილი,
ბადიაურის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე,
***პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი** ლეილა შავლიაშვილი*

მედიცინა

უცხოეთში – ქართული ნიჭით

წარმატებული ექიმი

VON CHRISTIN GRÖDEL

Jürgen Schmidt hatte jahrelang Probleme beim Hören, Gesprächen am Arbeitsplatz oder zu Hause am Küchentisch konnte er nur schwer folgen. Nun profitiert er vom medizinischen und technischen Fortschritt. Am Uniklinikum Dresden erhielt er Ende Februar als erster Patient in Sachsen ein vollständig implantiertes Hörgerät.

„Wir implantieren Hörhilfen bereits seit Jahren, allerdings blieb bisher ein Teil des Geräts, etwa das Mikrofon, außerhalb des Körpers", erklärt Prof. Thomas Zahnert, Direktor der Klinik für Poliklinik für Hals-, Nasen- und Ohrenheilkunde. Da Jürgen Schmidt durch eine Erkrankung in seiner Feinmotorik eingeschränkt ist und ein teilimplantiertes Hörgerät nicht bedienen könnte, war er prädestiniert für den vierstündigen Eingriff. Carina System heißt das Wundermittel, das die Firma Cochlear entwickelt hat. Konkret wird der Schall dabei von einem Mikrofon aufgenommen, über einen Sprachprozessor aufgearbeitet, verstärkt und dann an einen elektrischen Schwinger weitergegeben. Das Hörvermögen wird wieder hergestellt – und das alles unterhalb der Haut.

Für Jürgen Schmidt eine „Erlösung", wie er sagt. „Als ich das erste Mal das Vögelgezwitscher gehört habe, war das ein richtiges Erlebnis", erinnert sich der 76-Jährige. Verstand er vor dem Eingriff so gut wie gar nichts, ist er nun in der Lage, 70 bis 75 Prozent der Wörter zu hören. Mindestens zehn Jahre kann das Hörsystem im Patienten verbleiben – erst dann muss der Akku, den Jürgen Schmidt täglich 40 Minuten über eine magnetische Induktionsschule auffaden muss, ausgetauscht werden.

„Da sich das Mikrofon hinter dem Ohr unter der Haut befindet, braucht es eine gewisse Eingewöhnungsphase, bis sich Patienten an das neue Hörvermögen gewöhnen", sagt Dr. Nikoloz Lasurashvili, der den Eingriff vorgenommen hat. Einfache Tätigkeiten wie Haare kämmen oder Kauen könnten in der Anfangsphase noch leichte Störgeräu-

Nikoloz Lasurashvili (L.) hat Jürgen Schmidt operiert und zeigt ihm, was sich jetzt unter seiner Haut befindet.

Fotos: Dietrich Flechtner

ნიკო ლასურაშვილი – საგარეჯოელი, ძირძველი გვარისა და შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს გაზეთის ფურცლებიდან ამ რამდენიმე წლის წინ („გაზეთი „გარეჯის მაცნე", 2013წ. №16/54) გავაცანით. უბრალოდ, ახლა შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს I საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ 1984 წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გააგრძელა. მეორე კურსზე სწავლისას სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიის საზღვართან, ქ. პოტსდამთან მოუწია. ინსტიტუტი 1993 წელს დაამთავრა. იყო უმუშევრობა, უხელფასობა... სწორედ 1998 წლამდე, ასეთ პირობებში მოასწრო და ვიწრო სპეციალობა – ყელ-ყურ-ცხვირის (ოტოლარინგოლოგი) დარგში ვიწრო კვალიფიკაცია გაიარა. შემდეგ იყო სოფელ კაჭრეთში პრაქტიკოსი ექიმი...

ძიების გზებმა იგი გერმანიაში, ქ. დრეზდენში ჩაიყვანა. აქ ცნობილ საუნივერსიტეტო კლინიკა „დრეზდენში" სტუმარი-ექიმის სტატუსით იყო ერთი წლის განმავლობაში. მართალია, მუშაობდა სამეცნიერო თემებზე, მაგრამ პაციენტებთან პრაქტიკული ურთიერთობის უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა. 2001 წლიდან გაიარა ექიმთა დახელოვნების ხუთწლიანი კურსი. აქ შენიშნეს მისი შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება და გერმანელ ექიმთა რიგებში საქართველოდან საგარეჯოელი ნიკო ლასურაშვილი პირველი მერცხალი აღმოჩნდა როგორც სერტიფიცირებული ექიმი-ოტოლარინგოლოგი. მას შემდეგ ნიკოს ჰყავს პაციენტები – მადლიერები, მომავალი ექიმები – აღნიშნული კლინიკის სტუდენტები...

წლების განმავლობაში უკრაინაში, მოსკოვში და უპირველესად კი საქართველოში, თოდუას სახელობის კლინიკაში აოსტატებდა ექიმებს ენდოსკოპიურ, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგიისა და სასმენი აპარატის რეპლანტაციაში, თავის ქალის ენდოსკოპიაში, აკეთებდა ოპერაციებს და საკმაოდ წარმატებულადაც...

2013 წელს ჩვენი გაზეთისათვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ წლების განმავლობაში ნიკო ექიმი მუშაობდა შუა ყურის ფუნქციის დარღვევებზე და, აი, შედეგიც. მთელი კვირების განმავლობაში გერმანული მასმედიის ინტერესი არ განელებულა ნიკო ექიმის მიმართ. ინტერვიუ მისცა წამყვან ტელევიზიებს, გაზეთებს. საქმე იმაშია, რომ ნიკო ექიმმა საოცარი ოპერაცია ჩაატარა 76 წლის გერმანელ პაციენტთან, რომელმაც სმენის აღდგენისათვის მიმართა. ოპერაციამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, როგორც გერმანული გაზეთი „დრეზდენი"მოგვითხრობს:

– იურგენ შმიდტს წლების განმავლობაში ჰქონდა პრობლემები სმენასთან, უჭირდა საუბრის გაგება სამსახურში და სახლში, განსაკუთრებით სადილობისას. მან მიმართა დრეზდენის იმპლანტაციის საუნივერსიტეტო კლინიკას და თებერვლის ბოლოს მიიღო, როგორც ზაქსენის მიწაზე პირველმა პაციენტმა, სრულყოფილი სასმენი იმპლანტი აპარატი.

– ჩვენ უკვე ვიყენებდით ერთი წლის განმავლობაში იმპლანტირებულ სმენის აპარატს, მაგრამ „სხეულის გარეთ",– განმარტავს ყელ-ყურ-ცხვირის და ოფთალმოლოგიის კლინიკის დირექტორი, პროფესორი ტომას ზანერტი, – რადგან იურგენ შმიდტს შეზღუდული ჰქონდა მოტორიკული უნარები, ნახევრად იმპლანტირებული სმენის აპარატის გამოყენება არ შეეძლო და ოთხსაათიანი ქირურგიული ჩარევა უშედეგო (განწირული) იყო. „ჩარინა" (კარინა), ასე ჰქვია საოცრება აპარატს, რომელიც შიქმნა კომპანია Cochlear-მა. კერძოდ, მასში ჩადგმულია მიკროფონი, ენის პროცესორი, რომლის ამუშავების შემდეგ ბგერები გადაეცემა ელექტრონული წესით.

თვით იურგენ შმიდტისათვის ეს იყო სმენის აღდგენა– როგორც ის ამბობს. – როდესაც პირველად ჩიტების ჭიკჭიკი მოვისმინე, ეს იყო რეალური შედეგი – იხსენებს 76 წლის პაციენტი.

– მან წინასწარ იცოდა, რომ შეეძლო სიტყვების 70-დან 75%-მდე მოსმენით ესიამოვნა. მოსასმენი სისტემა ავადმყოფში შეიძლება დარჩეს მინიმუმ 10 წლის განმავლობაში. იურგენ შმიდტმა ყოველ დღე 40 წუთი უნდა შეცვალოს მაგნიტური ინდუქცია, რადგან მაგნიტოფონი მდებარეობს ყურის უკან, კანის ქვეშ, იგი იღებს გარკვეულ კორექტირებას, ფაზას, სანამ პაციენტი მიეჩვევა ახალ მდგომარეობას, – ამბობს დოქტორი ნიკოლოზ ლასურაშვილი, რომელმაც იმპლანტის ჩადგმის პროცესი შეასრულა. მარტივმა საქმიანობამ, როგორიცაა თმის დავარცხნა ან ღეჭვის პროცესი, შეიძლება უმნიშვნელო ხმაური გამოიწვიოს და საწყის ფაზაში ზიანი მიაყენოს.

ყოველ შემთხვევაში იურგენ შმიდტი კმაყოფილია სმენით. მას არა აქვს შეზღუდვები. „კარინა სისტემა" ღირს 15000 ევრო. თუ არსებობს სამედიცინო მიზეზი, ხარჯები დაიფარება ჯანმრთელობის დაზღვევით. სტანდარტული მიწოდების ნაწილი დასრულდება ახლო მომავალში. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დაიხვეწება სმენის აპარატი. სასიამოვნოა, რომ აპარატი აღარ ჩანს, ის უხილავია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია კომპლექსური ოპერაცია. ბევრი პაციენტისათვის აღარ იქნება მნიშვნელოვანი ჩვეულებრივი სმენის დამხმარე საშუალებები, რომელიც ყურზე გარედან მაგრდება. ესე იგი ეს ოპერაცია 20000 ევროდან დაყვანილ იქნა 15000 ევრომდე".

ჩვენი გარეჯელი ნიკო ლასურაშვილი თავის უზადო, მომხიბვლელი, თბილი ურთიერთობითა და დახვეწილი პროფესიონალიზმით ქართულ ხასიათსა და ქართულ კულტურასაც აცნობს გერმანელ თუ სხვა ეროვნების პაციენტებს... ერთი ეგაა – გულდასაწყვეტია, რომ ის საქართველოში არ მოღვაწეობს, იქ, სადაც მისი დედ-მამა – თამარ გოცირიძე და სოსო ლასურაშვილი ცხოვრობენ. თუმცა, ყოველ წელს ჩამოდის, მშობლიურ კერაზე დანთებული ცეცხლის სითბო იზიდავს. რამდენიმე ხნის წინ კი მისი ხელშეწყობით მამამისმა მსოფლიო მედიცინაში უიშვიათესი ოპერაცია – გულზე გადაიტანა.

ოჯახი სურათი გადაღებულია 2013 წელს, საგარეჯოში

როცა სახელმწიფო ზრუნავს

პატარა ნინის და მისი ოჯახის დიდი სიხარული

ნინი როსტიაშვილი პატარაჩაილურელი 14 წლის გოგონაა. სკოლაში დადის, მერვე კლასშია. გათვითცნობიერებულია, ყველაფერი აინტერესებს, ბევრს კითხულობს. ისეთი მოსაუბრეა, ვერ გააჩერებ. დაუსრულებლად შეუძლია ისაუბროს ფრინველებზე, ცხოველებზე, ცოცხალ სამყაროზე... ბევრი ოცნება აქვს ნინის, ძალიან ბევრი, უპირველესი კი ის არის – დედასთან ერთად თუნდაც ხელჩაკიდებულმა ოთახში, ეზოში გაიარ-გამოიაროს, თანაკლასელებთან ერთად ითამაშოს დაჭერობანა (თუმცა უკვე 14 წლისაა), დამალობანა...

ნინი ინვალიდის ეტლში ზის... დაბადებიდან რამდენიმე თვეში ექიმებმა ისეთი დიაგნოზი (სპინალური ამიოტროფია II ეტაპის) დაუსვეს, რომელმაც დედ-მამა, ეს მშრომელი, ალალ-მართალი ადამიანები წელში გაწყვიტა, გული დაუმძიმათ და სამყაროში არსებული ფერები გაუხუნათ. დადარდიანდა მასზე 9 წლით უფროსი და ეკაც. ნინის და დედას – ასმათ ათუაშვილს წლის უმეტესი დროები წლების განმავლობაში საავადმყოფოებში აქვთ გატარებული, სხვანაირად სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებდა. დედა იმ დროს, როცა ნინის კრიტიკული მომენტი უდგებოდა, ძუ ვეფხვს ემსგავსებოდა, კლდეს გადაანგრევდა, ზღვას გაცურავდა და ნინის ექიმამდე მიიყვანდა, – ნინის სიცოცხლეს თავისი ქალური, თითქოს სუსტი მხრებით დედაბოძივით შეუდგებოდა. ექიმის დანიშნულებას, მკურნალობას ზედმიწევნით შეასრულებდა და ზოგჯერ, როცა შეიძლებოდა ლეტალური შედეგით დამთავრებულიყო, იქ დედის შემართება იმარჯვებდა...

ასმათიც და ნინიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს პატარა თეკლა ხოსიტაშვილის მკურნალობას საზღვარგარეთ, გულიც სწყდებოდა დედას – თავად ვერ შეძლო შვილის წაყვანა, მაგრამ თითქოს პატარა, თვალებციმციმა თეკლამ კარგი „ფეხი" მოუტანა საქართველოში მყოფ, ერთიდაიგივე დიაგნოზით ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ ბავშვს –- სახელმწიფომ დაიწყო იმ ძვირადღირებული მედიკამენტის „რისდიფლამის"დაფინანსება, რომელიც 2 მილიონ 125 ათასი ევრო ღირს 35-ვესთვის. თუმცა პირველი მერცხალი ამ მედიკამენტებით სარგებლობისა ჩვენი, გარეჯელების თვალციმციმა თეკლა საქართველოს საზღვრებს მიღმა იყო.

მანამდე კი, ამ მედიკამენტებით დაფინანსებამდე, ნინის დიაგნოზისმქონე ბავშვების მშობლებმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს, რკინის ჯოხები დაიჭირეს ხელში და ჯანდაცვის სამინისტროს მიადგნენ, სადაც დაფინანსებაზე ცივი უარი უთხრეს, მაგრამ... რამდენიმედღიანი აქციის სემდეგ, მედიკამენტების დაფინანსება 35-ვემ მიიღო.

ნინის დედამ ასმათიმ სიხარულით აფოფინებულმა შემოხსნა რედაქციის კარი და მახარა – ნინიმ ახალი წამლის დაფინანსება მიიღო. იცოდა, ძალიან, ძალიან გამიხარდებოდა – ნინის დაბადებიდან ვიცნობ, ხშირად ჩემს თვალწინ გაუვლია მის კრიზისულ დღეებს ბავშვთა საავადმყოფოში...

– ძალიან მინდა, უდრმესი მადლობა ვუთხრა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს, რომელიც, რომ იტყვიან, სულით და გულით მიუდგა ჩემი ოჯახის გასაჭირს, გვერდში დაგვიდგა. ჩვენი ოჯახის მდგომარეობა ყველამ იცის – სახლის ჭერი გვქონდა დაზიანებული და შეგვიკეთა. ახლა დარდი აღარ მაქვს, წვიმას, ქარს, თოვას გაუძლებს ჩვენი სახლის სახურავი. მასთან ერთად დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს ჩვენი ოჯახის მიმართ მისმა მოადგილეებმა ალექსი გილაშვილმა და შოთა კაკაბაძემ, დეპუტატმა რომან მუჩიაშვილმა. ისინი მართლაც დიდი იმედები არიან არა მარტო ჩემი ოჯახის. მათ შეძლეს გვერდში დგომა, ჩვენი პრობლემების მოგვარება, ჩვენთვის ხელის უანგაროდ შეშველება. უფალმა დალოცოს ისინი, მათი წარმატებები მუდამ მიხარია. ბოლო პერიოდში თვითონაც აღშფოთებულები დარჩნენ იმ ფაქტზე, რომ ჩემს ოჯახს სოციალური დახმარება მოუხსნა სოციალური დახმარების სააგენტომ და რატომ?! მოგეხსენებათ, ნინის სჭირდება ჟანგბადის აპარატი, ნახველის საქაჩი აპარატი, ინგალატორი და იმის გამო, რომ ელექტროენერგია არ გამოგვირთოს „ენერგო-პრო-ჯორჯიამ", ერთმა კეთილმა ოჯახმა ერთბაშად შეიტანა ჩვენს ანგარიშზე 150 ლარი. ეს გახდა მიზეზი ჩვენი სოციალური დახმარების მოხსნისა... ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა გაგვიწია სოციალური დახმარების სააგენტოსთან, მაგრამ, უშედეგოდ... არადა, მე უმუშევარი ვარ, ჩემმა მეუღლემ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. მყავს ღრმად მოხუცი, უუნარო დედამთილი და უფროსი შვილი, რომელიც ასევე, უმუშევარია... მაგრამ სამაგიეროდ, ნინი მუშაობს, ზრდის ბროილერის ჯიშის წიწილებს და შემდეგ ყიდის... ასე, რომ შეუძლებელი არაფერი ყოფილა... იმ პატარა ხელებით ეფერება წიწილებს, აპურებს, ეტლით მოძრაობს და ისე უვლის ფრინველს. ახლახანს აჩუქეს თუთიყუში კოკო, თვითონ მდედრობითი სქესის კიკი უყიდა, გავამრავლებ და მათ ბარტყებს გავყიდიო.

ამ დღეებში ჩვენს ოჯახს ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე ესტუმრნენ – ნინის მედიკამენტებით დაფინანსება მიულოცეს... მართლაც სასიხარულოა ჩვენთვის, რადგან იმავე მკურნალობას მიიღებს ჩემი ნინი და მისი დიაგნოზის მქონე ბავშვები, რასაც ჩვენი პატარა თეკლა გადის იტალიაში. ეს მართლაც დიდი შვება და სამომავლო იმედია... ნინი ფეხზე დადგება, ფეხზე გაივლის. მადლობა უფალს ამისათვის!

სტუმრად სოფელ ქანდაში ბერ სოფიმესთან

იმედი დიდია, სახელმწიფო ზრუნავს ინვალიდი ბავშვების გამოჯანმრთელებისათვის.

P.S. მალე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ნინის სახლიდან სკოლამდე ადაპტირებულ გზას გააკეთებენ, ნინიმ კომფორტულად რომ შეძლოს გადაადგილება...

სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

პირველები

1-3 ნოემბერს საგარეჯოში ჩატარდა საგარეჯოლი მოჭიდავის ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის საგარეჯოს, მანავის, თოხლიაურის, სართიჭალის, ნორიოს, რუსთავის, თბილისის, სიღნაღის, ბორჯომის, წალკის, ასპინძის, აჭარის, ქუთაისის, თერჯოლის, აფხაზეთის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები.

I ადგილები დაიკავეს და ჩემპიონები გახდნენ გიორგი შაიშმელაშვილი (საგარეჯო), ლუკა მარტიაშვილი (საგარეჯო), გელა წიკლაური (მანავი) და ოთო ვაჭრიშვილი (მანავი). გიორგი შაიშმელაშვილი 6 წლისაა, რომელმაც სამივე შეხვედრა სუფთად მოიგო და მაყურებლის სიმპათია და მხურვალე ტაში დაიმსახურა.

მეორე ადგილები დაიკავეს: გიორგი ბექაურმა, საბა ტაბატაძემ, და შოთიკო ტაბატაძემ, მესამე ადგილი – ზურა მახარობლიშვილმა, დათო ფირანიშვილმა, ზურა ფიფიამ და ვალერი აფციაურმა (მწვრთნელები: თამაზ ყიფიანი და ვასილ მარტიაშვილი).

ტურნირზე დაწესებული იყო ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის თასი და იგი გელა წიკლაურს გადაეცა.

გუნდურ შეჯიბრებაში საგარეჯოელებმა გაასწრეს ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიცაა სართიჭალის, ქუთაისისა და აჭარის გუნდები და დაიკავეს I ადგილი.

თავისუფალი ჭიდაობა

გიგი ქურხული _ ლერი ხაბელოვის სახელობის სართაშორისო ტურნირის გამარჯვებული

26-27 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა ლერი ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველებთან ერთად ასპარეზობდნენ რუსეთის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთის და მათთან ერთად აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ სტილის მოჭიდავეები. ქართველი მოჭიდავეებისათვის ეს ტურნირი შესარჩევი შეჯიბრებაც იყო, სადაც უნდა გარკვეულიყო მომავალ საერთაშორისო ტურნირებში დასაყენებელი კანდიდატების ვინაობა. ეს უფლება ჩვენებური ფალავნებიდან მოიპოვა 65 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიგი ქურხულმა, რომელიც ჩემპიონი გახდა ამ წონაში. ტურნირის მესამე პრიზიორები გახდნენ თორნიკე ასაბაშვილი (45კგ), თორნიკე თულაშვილი (60კგ) და დავით კუჭუაშვილი (71კგ) (მწვრთნელი დავით ბაბუნიძე).

ძიუდო

ზესტაფონის მერიის თასზე

26-27 ოქტომბერს ზესტაფონში ჩატარდა ამ მუნიციპალიტეტის მერიის თასის გათამაშება 2003-2004-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ამ ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ წლებში დაბადებული მოჭიდავეებიც. მათგან პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა დავით კევლიშვილმა (46კგ), მესამე პრიზიორები გახდნენ თენგო მაისაშვილი (50კგ), მურაზ ხუდიანი (55კგ) და ლაშა მამულაშვილი (მძიმე წონა).

ქვიშის ჭიდაობა

დავით ხუციშვილი _ ქვიშის ოლიმპიური თანმაშების ჩემპიონი

ქვიშის ჭიდაობაში თავისი დებიუტი კარგად დასცადა ჩვენმა საგარეჯოელმა ფალავანმა, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა (ახალგაზრდებში), დიდებში ევროპისა და მსოფლიოს III პრიზიორმა დავით ხუციშვილმა (მწვრთნელები: რამაზ ასაბაშვილი და დავთ ბაბუნიძე). იგი ჯერ იყო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა აღნიშნულ ჭიდაობაში, სულ ახლახანს კი კატარში 14-15 ოქტომბერს ჩატარებული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ამ მიზნის მისაღწევად დავითს ხუთი ორთაბრძოლის გამართვა მოუხდა, სადაც მისი ძირითადი მეტოქე აზერბაიჯანელი მოჭიდავე იყო, მაგრამ საგარეჯოელმა ფალავანმა შეძლო მისი დამარცხება და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

გიგი დაბახიშვილი

სამგო

საქართველოს ჩემპიონატზე

1-2 ნოემბერს ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში 2003-2004 წლებში დაბადებულ უმცროს ჭაბუკებში. ჩემპიონატში საგარეჯოელი სამბისტებიც იღებდნენ მონაწილეობას, სადაც მეორე ადგილი დაიკავა გიორგი დურიშვილმა, მესამე ადგილები – გიორგი სონიძემ და მირიან კურდღელაშვილმა.

სამოყვარულო ფეხბურთი

პირველი ადგილი და გარდამავალი თასი კახეთის რეგიონული ტურნირიდან

სულ რამდენიმე ხანში დასრულდება საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა „მოყვარულთა თასი-2019“-ის კახეთის რეგიონული ლიგის გათამაშება, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი „სამი ფარის კომპანია“ მონაწილეობს. ფაქტობრივად, ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე დაასრულეს ეს ასპარეზობა და საკმაოდ წარმატებულადაც – გათამაშების დასაწყისიდანვე სათავეში ედგნენ რა სატურნირო ცხრილს, რეგიონული ეტაპის ბოლომდე შეინარჩუნეს ეს პოზიცია და პირველ ადგილთან ერთად კახეთის გარდამავალი თასის მფლობელნიც გახდნენ. ტურნირის დამამთავრებელი მატჩი მათ საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე ლაგოდეხის „იმედთან“ ჰქონდათ, რომელთანაც შეხვედრა ფრედ 1:1-ზე დაამთავრეს.

მატჩის დამთავრებისა და ზემოაღნიშნული ჯილდოების გადაცემის შემდეგ ჩვენ შევხვდით, ეს დიდი წარმატება მივულოცეთ და გუნდისა და მის სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ „სამი ფარის“ კომპანიის ერთ-ერთ დამაარსებელს, ამავე სახელწოდების იურიდიული ფირმის წარმომადგენელს <u>კახაბერ ღვთისავრიშვილს.</u>

– ბ-ნო კახა, ჩვენი გაზეთისა და სხვა წყაროების მეშვეობით საზოგადოება უკვე ინფორმირებულია „სამი ფარის კომპანიის“ მოყვარულ ფეხბურთელთა სპორტული მიღწევების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება იმის შეხსენება, თუ როდის დაარსდა თქვენი გუნდი, ვინ არიან მასში გაერთიანებულები და რა წარმატებები აქვთ მათ დღიდან დაარსებისა.

– „სამი ფარის კომპანიის“ გუნდი სულ ორი წელია, რაც დაარსდა და მასში 30 ფეხბურთელია გაერთიანებული. ამდენივე წელია, რაც ვმონაწილეობთ სამოყვარულო ფეხბურთის ასპარეზობაში და შარშან კახეთის რეგიონულ ეტაპზე შევძელით III ადგილის დაკავება, რითაც გავედით პლეი-ოფში. აქ კი შევძელით მერვედფინალში გამარჯვება, მაგრამ ვერ შევძელით ამის წინ წასვლა და გამოვეთიშეთ გათამაშებას. ჩვენი გუნდის მწვრთნელია ოთარ დევდარიანი, საკმაო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ფხბურთელი.

– ვინ არიან „სამი ფარის კომპანიის“ ფეხბურთელები და როგორია მათი ასაკი?

– წესდებით სამოყვარულო ფეხბურთის თამაში 16 წლიდან არის დაშვებული. ჩვენს გუნდში მოთამაშეთა საშუალო ასაკი 25-30 წელში მერყეობს. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდული ასაკის არიან 2000 წელს დაბადებული ნიკა ხაჭვანი და და 1999 წელს დაბადებული გიორგი ახვერდაშვილი. ყველაზე „უხუცესები“ თემურ ჯინჯიხაძე (1982წ) და ზურა სამუნაშვილი (1983წ) არიან. მათ გარდა, გუნდში თამაშობენ: ზურა ქართლელიშვილი, ავთო ნაცვლიშვილი, თორნიკე ფოცხვერაშვილი, გიორგი მამისაშვილი, ლერი და თემო ბარიხაშვილები, არჩილ ბუზარიაშვილი, აკაკი თედიაშვილი, გიორგი როსტომაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, სოსო სუხაშვილი, კახაბერ ღვთისავრიშვილი, ლუკა გორგილაძე, დათო ბეჟიტაშვილი, შოთა ოკინაშვილი, თეზო ხაჭვანი, ოთარ თედიაშვილი, ხვიჩა გვიდანი, რეზო თარიმანიშვილი, ალექსანდრე მოლოტოვი, ოთარ დევდარიანი, უჩა შინდელაშვილი, კახა ნარეკლიშვილი, ნიკოლოზ ჭიაბერაშვილი, ვასილ გაგნიაშვილი, რამაზ თარიმანიშვილი.

– სულ რამდენი გუნდი მონაწილეობდა კახეთის რეგიონული ეტაპის გათამაშებაში და რამდენი ტურის გამართვა მოგიწიათ?

– კახეთის რეგიონული ეტაპის გათამაშებაში მონაწილეობდა რვავე მუნიციპალიტეტის 10 გუნდი და სულ მოგვიწია 17 მატჩის გამართვა.

– და რა შედეგებით დატოვეთ „სამი ფარის კომპანიამ“ „ბრძოლის ველი“?

– ჩატარებული 17 თამაშიდან გვაქვს 14 მოგება, ორი ფრე, ერთი წაგება. გატანილი გვაქვს 42 და მიღებული 11 გოლი, ანუ გავიტანეთ 31 ბურთით მეტი, რის შედეგადაც დავაგროვეთ 44 ქულა. ამ შედეგით გუნდი „მიუწვდომელი“ გახდა ყველა მეტოქისათვის, ჩვენ 9 ქულიანი სხვაობით გავასწარით მეორე ადგილზე მყოფ თელავის „კურდღელაურს“, მესამეადგილოსან ლაგოდეხის „იმედს“ კი 11 ქულით და დამსახურებულად მოვიპოვეთ კახეთის რეგიონული ეტაპის გარდამავალი თასი, რომლის შარშანდელი მფლობელი იყო ყვარლის „ლოპოტა“.

– თქვენ ქულათა რაოდენობით კი ასწრებთ სხვა გუნდებს, მაგრამ გატანილი გოლების რაოდენობით ჩამორჩებით კურდღელაურელებს (51-16).

– ამის მიზეზია რთვლის პერიოდში რამდენიმე ჩვენი მეტოქის (სიღნაღის „ჯუგაანი და სხვა) გამოუცხადებლობა, რომლებთანაც დიდი ანგარიშით მოგების შანსი გვქონდა.

– რეგიონალური ეტაპის დამამთავრებელ მატჩში ლაგოდეხის „იმედთან“ „ისტორიული ბურთი“ გიორგი როსტომაშვილმა გაიტანა. მის გარდა კიდევ ვინ არიან გუნდის გამორჩეული ბომბარდირები?

– ეს გახლავთ თეზო ხაჭვანი, რომლის ანგარიშზე ამ ეტაპზე 9 გატანილი გოლი მოდის, ასეთივე შედეგი აქვს თქვენს მიერ ხსენებულ გიორგი როსტომაშვილს.

– კახეთის რეგიონული ეტაპის შარშანდელი გამარჯვებული და გარდამავალი თასის მფლობელი „ლოპოტა“ წელს გათამაშების ცხრილის შუაგულში ჩარჩა, თქვენ კი მისი ადგილი დაიკავეთ. რა არის ამისი მიზეზი?

– ეს პირველ რიგში ჩვენი გუნდის შარშანდელთან შედარებით უკეთ მომზადებით უნდა აიხსნას. ისე, უნდა ვთქვათ, რომ შარშანაც რამდენადმე წინ გადავასწარით მას. მხედველობაში მაქვს ფლეი-ოფში ჩვენი მონაწილეობა, სადაც „ლოპოტა“ პირველივე თამაშიდან გამოეთიშა ამ ასპარეზობას, ჩვენ შევძელით მეოთხედფინალამდე მისვლა.

– როგორია სამი ფარის კომპანიის სამომავლო გეგმები?

– ჩვენი მთავარი მიზანი და საზრუნავია საფლეიოფო ზონიდან გაღწევა, „მოყვარულთა თასი-2019“ ფინალურ თამაშში მონაწილეობის მიღება და რა თქმა უნდა, არც ამ თასის მოპოვებაზე ვიტყოდით უარს. ვნახოთ, როგორ გაგვიმართლებს ამაში.

– ადამიანები, რომლებიც ფინანსურად თუ სხვა სახით გვერდში უდგანან და კვლავაც დაუდგებიან „სამი ფარის კომპანიას“ ამ და სხვა წარმატებების მიღწევაში...

– ასეთ ადამიანთა შორის პირველ რიგში ალბათ უნდა დავასახელოთ ჩვენივე გუნდის ფეხბურთელი გიორგი მამისაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, ამავე სამსახურის სპორტის მთავარი სპეციალისტი ლაშა იაკობიძე. მადლობა პირადად თქვენ და თქვენს გაზეთს ჩვენი გუნდის მიმართ გამოჩენილი ყურადრებისა და პოპულარიზაციისათვის. მადლობა ჩვენს საგარეჯოელ გულშემატკივრებს, ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც გვერდში გვედგა ამ წარმატების მიღწევაში. ჩვენი მხრივ კი ვიმედოვნებთ, რომ მუდამ პირველნი ვიქნებით კახეთში და თუ საქართველოც მოვიგეთ, ამას რა შეედრება.

– აბა თქვენ იცით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

***ესაუბრა** გიგი დაბახიშვილი*

კულტურა ხელოვნება

„ჩინარი“ – 35 წლისაა

პირველი ვარსკვლავოსნები

ოცნებასა და ფიქრშემოჯარულ დღეებსა და ღამეებში დაიბადა იდეა,თუმცა მაშინ არც უფიქრია,თუ ხორცშესხმული,განხორციელებული იდეა თავის მნიშვნელოვან სიტყვას იტყოდა ქართულ ხელოვნებაში, თუ უკვდავებას მოუტანდა ქართულ, ხალხურ სიმღერებს, თუ ამდენი მსმენელი, ამდენი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა გაუბედავ, სცენაზე მორიდებით მდგომ გოგონებს...

დიახ,დიდი ფიქრის,ოცნების შემდეგ ერთმა ნაზმა, კაფანდარა, სუსტი აგებულების გოგონამ საგარეჯოს სამუსიკო სკოლიდან მაშინდელი საგარეჯოს რაიონის კულტურის განყოფილების გამგის კაბინეტის კარები მორიდებული, მოკრძალებული გრძნობით შეხსნა და თავის ჩანაფიქრი გაუმხილა – სურვილი ჰქონდა ჩამოეყალიბებინა გოგონათა ანსამბლი, რომელიც ქართულ სიმღერებს თავისებურ ჟღერადობას, თავისებურ სილამაზეს შესძენდა; მსმენელამდე ლამაზად მიიტანდა... მაშინდელმა კულტურის განყოფლების გამგემ რამინ მარტაშვილმა სამუსიკო სკოლის პედაგოგი ნელი გულიკაშვილი რაიკომის მდივნის მედეა მეზვრიშვილის წინაშე წარადგინა და ... ქალბატონი მედეა აღფრთოვანებული შეხვდა ამ მოსაზრებას, თავის მხრივ დახმარება აღუთქვა. ეს 1984 წელს იყო. იქიდან დაიწყო ახალი ცხოვრება ნელი გულიკაშვილმა – დაუღალავი, საინტერესო, დამღლელი, მაგრამ თავისებურად მაინც

სასიამოვნო...

ეძებდა გოგონებს, რომლებსაც მთელი სულით და გულით უყვარდათ ყოველივე ქართული, სულშიც და გულშიც საქართველო ენთოთ, ეს გასული საუკუნის 80-იანი წლებია, როცა ჩვენი ახალგაზრდობა „ბრმად“ ბაძავდა ევროპულ ცხოვრებას და მართლაც საჭირო იყო შეხსენება „ვისი გორისანი“ ვიყავით...

ერთი წლის თავდაუზოგავი, დაუღალავი შრომის შემდეგ გამოჩნდნენ „ჩინარელები“ – ქართული, ლამაზი, შინდისფერი, მთიწმინდა გიორგის ჯვრით დამშვენებული კაბებით, ქართული, ხალხური, ქალაქური სიმღერებით, ქართული ჟანგბადით გაჯერებული და ქართული მუხტით დამუხტული... აი, ისინიც: ჟუჟუნა კონიაშვილი, მანანა კუჭუაშვილი, ნაირა ალექსაშვილი, მარინა გილაშვილი, მაია კვერაშვილი, ტატიანა პატარაშვილი, , ირინე ძამუკაშვილი, ნანა აზარიაშვილი, ცისანა მოვსესიანი. დარბაზი სუნთქვაშეკრული, სიამაყისაგან თვალებშიცრემლმოწოლილი, ამაყი და აფოფინებული უსმენდა „ოროველას“, „დაიგვიანეს“, „სურვილი“,,,ლომისური“,,,ჯავრიანი გული“, „გულო ჯავრისგან შეჭმულო!“, „იავნანა“ და სხვა.

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვეს გულურორნამენტიანი, გონებმა წარმატებები და რაც მთავარია, მაყურებელთა სიყვარული. ნელი გულიკაშვილს – „ჩინარის“ დამაარსებელსა და სიმღერების მუსიკის ავტორს, შემსრულებელს მრავალჯერ მიენიჭა საერთაშორისო

ფესტივალის ლაურეატის წოდება, არის ღირსების ორდენის კავალერი...

ამ 35 წლის მანძილზე ანსამბლ „ჩინარს“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება (1999წ), გახდა მსოფლიოს ახალგაზრდობის მუსიკალური ფესტივალის „ვერცხლის სიმების“ დიპლომისა და „ვერცხლის ლირის“ მფლობელი (1991წ. პოლონეთი, ვარშავა); „ჩინარის“ „იავნანა“ შესულია მსოფლიოს საუკეთესო იავნანების ოცეულში (პარიზში გამოცემული „ოქროს დისკი“, 2004წ). ანსამბლმა ოცამდე სიმღერა ჩაწერა ფირმა „მელოდიაში“ (1995წ). ანსამბლის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების ყოფილმა რედაქციამ (1988წ).

დრო გადიოდა, იწურებოდა სამნახევარი ათეული წელი ანსამბლის შექმნის,არსებობის, წარმატებების მატიანე. იყო წარმატებული გამოსვლები და აღფრთოვანებული მაყურებელი იემენში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფოლკლორულ ფესტივალზე, პოლონეთში, მოსკოვში... მაგრამ მათ მაინც თავიანთი, გარეჯელი მაყურებელი უყვართ, რომლის წინაშეც ისინი 1 ნოემბერს ანგარიშით წარსდგნენ... აქ იყვნენ მათი პირველი ნაბიჯების მომსწრეებიც და ისინიც, ვისაც ამ დღეს პირველად მოუწიათ მათი სიმღერების მოსმენა. „ჩინარმა“ ათეულობით „ჩინარელი“ მიიღო, გაზარდა, ჩამოაყალიბა მომღერლად, შეაყვარა ქართული სიმღერა და 1 ნოემბერს სწორედ მათ გაიხსენეს საგარეჯოს კულტურის სახლში მოწვეული სტუმრების (წამყვანი თინათინ მეზვრიშვილი) წინაშე თავიანთი პირველი ნაბიჯები, აქ გატარებული ლამაზი წლები: მთვარისა მთვარაძემ და ხათუნა დარბაისელმ, სოფო ამირეჯიბმა კი ორი სიმღერა მიუძღვნა მაყურებელს.

„ჩინარელებს“ იუბილე მიულოცეს თელავის ვაჟთა სახალხო ანსამბლმა „წინანდალმა“, საგარეჯოელთა ვაჟთა ანსამბლმა „გარეჯმა“, უდაბნოს ქალთა ანსამბლმა „კასლეთილამ“, კაკაბეთელმა „ბერიკაცებმა“, „პატარა გარეჯელებმა“. მოსაფერებელი სიტყვით მიმართა მათ პოეტმა, მანავის საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა დაბახიშვილმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა, კახეთის მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ლეილა ლეგაშვილმა.

საგარეჯოში პირველი ვარსკვლავი დამსახურებულად ერგოთ „ჩინარელებს“.

ნელი გულიკაშვილსა და 35 წლის „ჩინარს“

მე არ ვიცი,რა გიწოდო,
ბულბული თუ იადონი,
ნელი, შენ ხარ საგარეჯოს
მგალობელი სირინოზი.
ბულბულებს ზრდი უანგაროდ,
შენ ჩინარის ბუდეშია.
ოცდათხუთმეტი წელია
გარეჯელებს დაგვმღერიან.
ტკბილ ჰანგებით აგვირისტებთ
ქართულ სულის მარგალიტებს,
თქვენგან ნამღერ საგალობლებს
ხალხი გულში ჩაიხუტებს.
დაილოცოს თქვენი ნიჭი,
ყველაფერი ღვთისგან მოგდგამთ,
ეგ თქვენი ხმა არ მოაკლოს,
გარეჯას და ქართველთ მოდგმას!

გივი დაბახიშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარსა და აქტიურ მკითხველს, საგარეჯოს „ფოტომემატიანეს“ **ბიჭიკო სულიკაშვილს.** ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გახარებას თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური